საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN13

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

18 ოქტომბერი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. რუსუდან კოვზირიძე;, 6. ჯემალი ისაკაძე,7. ნატალია ასათიანი, 8.იზა მაგრაქველიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 1.გიორგი ბარათაშვილი; 2. დავით ცხადაძე,

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის **გარდაცვალების** ფაქტი არის მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველი.

აღნიშნა, რომ მერის უფლებამოსილების შეჩერებას/შეწყვეტის პროცედურებს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-8 ნაწილები.

საკრებულოს მიერ ცნობად უნდა იქნას მიღებული და ვადამდე შეუწყდეს ლაშა გოგიაშვილს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილება გარდაცვალების გამო.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას ასრულებს მერის პირველი მოადგილე გარდაცვალების ფაქტის დადგომის მეორე დღიდან, 2022 წლის 09 ოქტომბრიდან.

აზრი გამოთქვეს: იზა მაგრაქველიძემ, ნატალია ასათიანმა;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ცნობად უნდა იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ;

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას ცნობისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: